



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492221012

თარიღი:29/07/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 94

შპს „ბალნეოსარებაბილიტაციო ცენტრი“-სათვის კულტურისა და დასასვენებელი პარკის მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარით , 10 (ათი) წლის ვადით ,# 29. 08. 34. 064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (საკ. კოდი # 29. 08.34. 091, ცენტრალური პარკი) ნაწილის 1752.08 კვ. მ. ფართის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 18 ივლისის (№48-482219990) წერილი , რომელშიც შპს „ბალნეოსარებაბილიტაციო ცენტრი“-ს დირექტორის განცხადების საფუძველზე, ითხოვს თანხმობას, მითითებულ შპს-ს კულტურისა და დასასვენებელი პარკის ფუნქციონირების მიზნით (მოეწყობა ტერიტორია, დაიდგმება საჩრდილობელი ქოლგები, გრძელი სკამები, ბავშვთა კუთხე, იმოძრავებს გადასაადგილებელი სანაყინეები და დიზაინის შესაბამისი სხვა ობიექტები), პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარით , 10 (ათი) წლის ვადით ,# 29. 08. 34. 064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (საკ. კოდი # 29. 08.34. 091, ცენტრალური პარკი) ნაწილის 1752.08 კვ. მ. ფართის გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარით , 10 (ათი) წლის ვადით ,# 29. 08. 34. 064 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (საკ. კოდი # 29. 08.34. 091, ცენტრალური პარკი) ნაწილის 1752.08 კვ. მ. ფართის გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

